საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის

საბჭოს თავმჯდომარეს

განმცხადებელი: _ბექა ქირია_____

განცხადება

(საქმისწარმოების დაწყების შესახებ)

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1 და 11 პრინციპ(ებ)ი **(მიუთითეთ ქარტიის პრინციპ(ებ)ი, რომელიც თქვენი აზრით, დარღვეულია).**

მოგმართავთ, რათა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქარტიის შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შესწავლოთ/განიხილოთ დარღვევის ფაქტი.

პერსონალური/პროფესიული მონაცემები ჟურნალისტის/რედაქტორის, რომელმაც შესაძლოა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით აღიარებული პრინციპები

ქეთევან ქარდავა - საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი

კონკრეტული ფაქტების/გარემოებები, რაც განმცხადებლის აზრით, ადასტურებს ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევას

ქეთევან ქარდავა იმყოფებოდა ბრიუსელის ფორუმზე 2017, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი 2017 წლის 25 მარტს. იხილეთ ბმული რეპორტაჟის, რომელიც იმავე დღეს მომზადდა: http://1tv.ge/ge/news/view/154633.html აღნიშნულ რეპორტაჟი დაეთმო თავად, როგორც ჟურნალისტის გაშუქებას, რომელიც ბრიუსელის ტერაქტებს გადაურჩა, აგრეთვე საქართველოს საგარეო მინისტრის პასუხს ჩემს მიერ წამოჭრილ საკითხებზე, რომლის საერთოდ ამოჭრა მოხდა რეპორტაჟიდან. აღსანიშნავია, რომ ქეთევან ქარდავამ საკუთარი თავის გაშუქება მოახდინა, როდესაც მოდერატორმა მოიხსენია, როგორც ბრიუსელის ტერაქტს გადარჩენილი ინდივიდი, ხოლო ჩემს შემთხვევაში, როდესაც იგივე მოდერატორმა შემიქო დასმული საკითხები და საქართველოს მოქალაქეებისთვის უფრო საინტერესო არის, რადგან ეხება საჯარო სივრცეში არსებულ ინტერესებს ამ საკითხებს ამოჭრა მოხდა. გთხოვთ იხილოთ ჩემი გამოსვლის ბმული: https://www.youtube.com/watch?v=3MtnMcVaMMw&feature=youtu.be&t=4770 ჩემს მიერ მოხდა საგარეო მინისტრის მისამართით უმნიშვნელოვანესი კრიტიკული საკითხების დაყენება, როგორიც არის: რუსეთის მიერ საქართველოს გავლით სამხედრო აღჭურვილობის გადატანა სომხეთში, თუ რატომ აქვს კარგი მმართველობის პრობლემები საქართველოს ყველა სამინისტროს მასშტაბით და რატომ არის საქართველოში თავისუფალი მედია კითხვის ნიშნის ქვეშ. (რუსთავი2 საკითხს ეხებოდა აღნიშნული შეკითხვა).

განმცხადებლის პირადი მოსაზრება/განმარტება თუ რატომ მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია ქარტიის პრინციპები

ქარტიის 1 პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.“ ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, აღნიშნულმა ჟურნალისტმა პატივი არ სცა სიმართლეს, რომელიც პოლიტიკურად მიუღებელი აღმოჩნდა მინისტრისთვის კრიტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე და ჩემი გამოსვლის ამოჭრით, მან პირდაპირ დაარღვია სიმართლის პატივისცემის ღირებულება. მეორეს მხრივ, აშკარად არ დაიცვა საზოგადოების უფლება, რათა მიეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, არსებითად მინისტრის პასუხი ჩემი კითხვით გამოწვეული პასუხი იყო და ეხებოდა ისეთ თემებს, რაზეც უმაღლესი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს ქვეყანაში.

ქარტიის 11 პრინციპის 1 ნაწილის თანახმად „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება“. აქედან გამომდინარე აშკარად არათუ ფაქტი დამახინჯდა, არამედ თვისობრივად საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები მიიჩქმალა, მაშინ, როცა ქეთევან ქარდავამ საკუთრივ გააშუქა საზოგადოებისთვის ნაკლებად რელევანტური მასალა, მაგალითად ის, რომ ის გადაურჩა ბრიუსელის ტერაქტს.

სასურველია დანართი – აუდიო ან/და ვიდეო ან/და ბაჭდური ფორმით არსებული მასალა ან ბმული, სადაც ასახულია ის ფაქტები/გარემოებები, რასაც ეფუძნება განცხადება

http://1tv.ge/ge/news/view/154633.html - საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი,

https://www.youtube.com/watch?v=3MtnMcVaMMw&feature=youtu.be&t=4770 სრული ფორუმის ჩანაწერი, აღნიშნული ბმული იწყება ჩემი შეკითხვიდან და შემდგომ მოდის საქართველოს საგარეო მინისტრის პასუხი.

განმცხადებელი (ხელმოწერა): **ბექა ქირია** _____

თარიღი: 7 ივნისი 2017

განმცხადებლისათვის ცნობილია, რომ განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.